ხელშეკრულება №2022/101

„ საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია" (CPV კოდი: 39800000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი

24 ივნისი 2022 წელი

შემსყიდველი: სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის ზაალ აბაშიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის 1/3;
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211368474
ტელეფონი: 247-42-42
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22

მიმწოდებელი: შპს „ძმები" (შემდგომში „მიმწოდებელი") **მისი დირექტორის ბესიკ ბუთხაშვილის** სახით
მის: ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. N9
საიდენტიფიკაციო ნომერი: ს/ნ 400007078
ტელეფონი: 555 60 47 48
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE80BG 0000 0002 6097 6900

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ მიმწოდებელი, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველო კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ თანხაზე:

117,00 (ას ჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება")

მხარეები ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2.„ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3.„დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4.„შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2.ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის სხვადასხვა საწმენდი საშუალებები.

CPV	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
39830000	სიფი კრემი 500 მლ	ცალი	30	3.5	105
39831200	ბარფი ფხვნილი 300გრ	ცალი	5	1.1	5.5
39831200	არტა ფხვნილი 300გრ	ცალი	5	1.3	6.5
CPV კოდი: 39800000 - 117.00 ლარი					
			ჯამი		117

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **117,00 (ას ჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

4.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე **10 სამუშაო დღის ვადაში.**

4.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.4. დაფინანსების წყარო: **2022 წლის საკუთარი შემოსავალი.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების 9.2 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

5.3.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების საწყობის გამგე ბაგრატ შურღაია.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

6.1.შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა **2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

7.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ელექტრონულად დამოწმების/დადასტურების დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.**

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლინლის ხარისხზე;
8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
8.3. შემსყიდველი ვალდებულია:
8.3.1.უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
8.3.2.განხორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;
8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1.შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:
9.1.1.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან და ადასტურებს შესაბამისი დასკვნით, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
9.2.ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საფინანსო-ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი ლაშა კალაძე; სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ზვიად ნადარეიშვილი და კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორია - განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი რევაზ კლდიაშვილი.
9.3.ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დაეკისროთ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.4. დაკისრებული პირგასამტეხლო/ჯარიმა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.5 თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე გაფრთხილებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღეში არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.ფორს-მაჟორი

12.1.ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
12.2.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15.ზოგადი დებულებები

15.1არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
15.2მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.3ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
15.4ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

16.მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"
სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დირექტორი

/ზაალ აბაშიძე/

„მიმწოდებელი"
შპს „ძმები"

დირექტორი

/ბესიკ ბუთხაშვილი/

Besik Butkhashvili 16001001839
Digitally signed by Besik Butkhashvili
Date: 2022.06.24 13:19:48